შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერისტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს

სხდომის ოქმი

ქ. თბილისი 12.09.2025

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Microsoft Teams -ის გამოყენებით 2025 წლის 12 სექტემბერს წარმომადგენლობითი საბჭოს დებულების მე-10, მე-12 და მე-13 მუხლების შესაბამისად.

სხდომას ესწრებოდნენ

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

1. ეკა ლუაშვილი (საბჭოს თავმჯდომარე);
2. ივანე ჩერქეზიშვილი (საბჭოს წევრი);
3. დავით ყიფიანი (საბჭოს წევრი);
4. შალვა კვინიხიძე (საბჭოს წევრი, პროფესორი);
5. ავთანდილ გაგნიძე (საბჭოს წევრი, პროფესორი);
6. მარინე ჩაგელიშვილი-ურუმაშვილი (საბჭოს წევრი, პროფესორი);
7. თამარი ხუციშვილი (საბჭოს წევრი, სტუდენტი);
8. სალომე ზაალიშვილი (საბჭოს წევრი, სტუდენტი);
9. ნათია გეგელაშვილი (საბჭოს წევრი, სტუდენტი);
10. ანიშა შანკარ ინგანეს (საბჭოს წევრი, სტუდენტი);
11. ანი კოსტავა (საბჭოს მდივანი).

კვორუმი შედგა. სხდომა გადაწყვეტილებისუნარიანია.

მოწვეული პირები:

- იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მ/შ;
- განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი;
- ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. 2025-2026 სასწავლო წელს ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე ვაკანტური ადგილების რაოდენობის შესახებ კორექტირებულ ანკეტა-კითხვარის განხილვა და დამტკიცება;
2. ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტის საბჭოს მიერ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამების განხილვა და დამტკიცება.
   ა) ბიზნესის ადმინისტრირების 180 კრედიტიანი (ქართულენოვანი),
   ბ) ბიზნესის ადმინისტრირების 70 კრედიტიანი (ქართულენოვანი)
   გ) ბიზნესის ადმინისტრირების 70 კრედიტიანი (ინგლისურენოვანი)
3. ურბანული დაგეგმარების სამაგისტრო პროგრაამაში განხორციელებული ცვლილებების განხილვა და დამტკიცება.
4. 2025-2026 სასწავლო წელს განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე ვაკანტური ადგილების რაოდენობისა და სამაგისტრო გამოცდებისათვის კოეფიციენტების განაწილების კორექტირებულ ანკეტა-კითხვარის პროექტის განხილვა და დამტკიცება;
5. 2025-2026 სასწავლო წელს იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე ვაკანტური ადგილების რაოდენობისა და მაგისტრატურის გამოცდებისათვის კოეფიციენტების განაწილების ანკეტა-კითხვარის განხილვა და დამტკიცება;
6. სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამაში განხორციელებულ ცვლილებების განხილვა და დამტკიცება;

გადაწყვეტილება

წარმომადგენლობითმა საბჭომ განიხილა შესაბამისი ფაკულტეტების მიერ წარმოდგენილი წინადადებები და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები:

- დამტკიცდა 2025–2026 სასწავლო წლისთვის ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე ვაკანტური ადგილების შესახებ კორექტირებული ანკეტა-კითხვარი;
- დამტკიცდა ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო (180 კრედიტიანი) და სამაგისტრო (70 კრედიტიანი ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამები განახლებული რედაქციით;
- დამტკიცდა ურბანული დაგეგმარების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები;
- დამტკიცდა განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე ვაკანტური ადგილების შესახებ კორექტირებული ანკეტა-კითხვარი;

- დამტკიცდა იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე ვაკანტური ადგილების შესახებ კორექტირებული ანკეტა-კითხვარი;
- დამტკიცდა სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

მოწინააღმდეგე - 0

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომა დასრულდა.

წინამდებარე ოქმში მითითებული დანართები ინახება უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში.

საბჭოს თავმჯდომარე
ეკა ლუაშვილი

საბჭოს მდივანი
ანი კოსტავა